სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

20.02.2018

## ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში
## *2018 წლის იანვარი*

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 2,3 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში ფასები 14,3 პროცენტით გაიზარდა ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და ცხელი წყლის ჯგუფზე. ფასების 0,4 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე, ხოლო 0,3 პროცენტიანი კლება - გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი გაიზარდა 7,7 პროცენტით. ფასების 14,0 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და ცხელი წყლის ჯგუფზე. 6,3 პროცენტით გაიზარდა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის, ხოლო 3,0 პროცენტით - სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ფასები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2018 წლის იანვარში ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

| კოდი | ჯგუფები და ქვეჯგუფები | 2017 წლის იანვართან | წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში |
|---|---|---|---|
| | **სულ** | **107.7** | **7.68** |
| C | **სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია** | **103.0** | **0.10** |
| D | **გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია** | **106.3** | **4.99** |
| DA | კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი | 106.8 | 2.77 |
| DG | ქიმიური ნივთიერებები, ქიმიური პროდუქტები და ქიმიური ბოჭკოები | 115.8 | 0.58 |
| E | **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი** | **114.0** | **2.59** |

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული
ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge